სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № GR 024/08/13

ქ. თბილისი „ 2 “ აგვისტო, 2013 წელი

ერთის მხრივ, შპს “საქაერონავიგაცია” (შემდგომში, შემსყიდველი) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გოჩა მეზვრიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს “თეგეტა მოტორსი” (შემდგომში, მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მშვილდაძის სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი დასახელების საქონლის შესყიდვა:

- საბურავი (Mich. 245/45R19 PIL.Prim. 98Y) –2 ცალი, ერთეულის ფასი 650 ლარი, საერთო ღირებულებით 1300 ლარი.
- საბურავი (Mich. 275/40R19 Pilot Sport3 101Y) –2 ცალი, ერთეულის ფასი 655 ლარი, საერთო ღირებულებით 1310 ლარი.
- საბურავი (BSIN 275/65R17 115T D697) –4 ცალი, ერთეულის ფასი 450 ლარი, საერთო ღირებულებით 1800 ლარი.

1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV 34351100.

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის დადგენილება №26, 21.01.11.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4410** ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს, ასევე საბურავების მონტაჟისა და ბალანსირების ღირებულებას.

3. მიწოდების წესი და ინსპექტირება

3.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში, მიმწოდებლის მითითებულ მისამართზე.

3.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი საქონლის მიწოდების მომენტში. ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებენ: დ. ტაბატაძე, ლოგისტიკის სამსახურის უფროსი და ჯ. ვაჭარაძე, შესყიდვების ექსპედიტორი, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ აღნიშნულ გამარტივებულ შესყიდვაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები).

3.3. საქონლის მიწოდება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას:

4.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება სრული მოცულობით ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

4.1.2. საკუთარი სახსრებით გამოასწოროს ყველა დეფექტი, აღმოჩენილი საქონლის მიწოდების დროს.

4.1.3. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.2. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას:

4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

4.2.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის მიღებაზე შემდეგ შემთხვევებში:

ჯ. ვაჭარაძე

4.2.4 მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ დაგვიანება შეადგენს 10 დღეზე მეტს;

4.2.5 თუ არ იქნება წარმოდგენილი თანმხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით.

5. ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 ნოემბრამდე.

9.2. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.3. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 3 დღით ადრე.

ჯ. კაკურიძე

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შპს „საქაერონავიგაცია"

ქ. თბილისი, აეროპორტი 0198,
საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051; ტელ: (+995 32) 2-74-42-27.
ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა", ბანკის კოდი REPLGE22; ა.ა. GE69BR0000000005467067;
გენერალური დირექტორი
გოჩა მეზვრიშვილი

შპს „თეგეტა მოტორსი"

ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №5;
საიდენტიფიკაციო კოდი 202177205;
სს „თიბისი ბანკი", ა/ა GE80TB0600000024467853; ბანკის კოდი 220101830.
გენერალური დირექტორი
გიორგი მშვიდობაძე

ჯ. ვაჩნაძე